ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 12387/01
12/12/2019

12387-01-2-201912121456

შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' დირექტორს
ქალბატონ **ეკატერინე გალდავას**

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76 ბ

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 5 ნოემბრის №15561/1 განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც ეხება მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში ,,ქ. მარნეულის და ქ. ბოლნისის საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას''.

თქვენს მიერ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციისას უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებით, ხმაურით და სუნის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედებასთან დაკავშირებით, შემარბილებელ ღონისძიებებში განხილულია ,,გავლენის ზონაში მოქცეული ობიექტების და მაცხოვრებლების განსახლება'', ასევე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად ,,განსახლების საჭიროება გარდაუვალია''. მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილი არ არის მანძილი გამწმენდი ნაგებობიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, ასევე არ არის განსახლებას დაქვემდებარებული საცხოვრებელი სახლების/ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი არ არის განსახლებასთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების შესახებ შესაბამისი დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას, განსახლებას დაქვემდებარებული მოსახლის განსახლების შემდგომ რა მანძილი იქნება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებით, ხმაურით და სუნის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შესახებ, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით.

ამასთან გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიში შეიცავს შემდეგ უზუსტობებს:

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

- გზშ-ის ანგარიშში ხმაურის გავრცელების დონეები გაანგარიშებულია 150 მეტრის მანძილზე, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დასახლებული პუნქტი მდებარეობს გამწმენდი ნაგებობიდან დაახლოებით 50 მეტრში და პროექტით გათვალისწინებულია მოსახლეობის განსახლება, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ფუჭი ქანების, მათი განთავსების ადგილისა და პირობების შესახებ.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე